# ივერია

№ 145 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 145


**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


ხუთშაბათს, 24 ივნისს, დილის 9 საათზედ კუკიის წმიდა ნიკოლოოზის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**იოსებ ზოსიმეს ძის ბაქრაძის**

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი **ეკატერინე სვიმონის ასული** და მეუღლე **ელისაბედ ანტონის ასული შვილებითურთ.** (2—6—1).


## რედაქციისაგან

რედაქცია აუწყებს იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც მხოლოდ 5 მანეთი აქვთ წარმოდგენილი, შემოიტანონ დანარჩენიც 1 ივლისამდე, რათა გაზეთი გზავნა არ მოესპოთ.


გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

**თხზულებანი იამპოლსკისა.**

(ავტორის სურათით).

**ფასი ერთი მანეთი.**

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდგან.

(15—3).


### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან— 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორეგ ამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—1)


ვიღებ საეკლესიო **პანკელების სამხატვრო საქმეებს.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ჟანჩაველს.

(15—13)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოკის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა, № 5

**ბაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოდუხანოვისა, № 123.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მუღინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ძ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. ვ. სოზოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ვ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ზ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**ვ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. (წ.)


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონელების გულის წყრომა.—კორესპონდენტების მოციქული.—მეზღვაურების ჯილდო.—ოსმალთა და იაპონელთა ნა[illegible]საობა.—იაპონელების ტაქტიკა.

იაპონიის ელჩს შემდეგი წერილი დაუბეჭდა «ფიგაროში»:

ზოგს აქაურ გაზეთს გამოუქვეყნებია რუსულ წყაროდამ მიღებული ცნობები, ვითომც იაპონელები მხეცურად ეპყრობოდნენ დაჭრილ რუსებს.

იაპონიის ელჩი, თანხმად თავის მთავრობისაგან მიღებულ ინსტრუქციისა, გულის წყრომით პროტესტს აცხადებს ამისთანა ცილის წამების წინააღმდეგ და პირდაპირ გადაჭრით ამტკიცებს, რომ ამისთანა ცნობანი სრულიად უნიადაგონი არიან (ნოვ.).

—

იაპონურ გაზეთებში დაბეჭდილია:

შორეულ აღმოსავლეთიდგან კორესპონდენტები იწერებიან, უცხო სახელმწიფოთა სამხედრო აგენტებმა ოქმები შეადგინეს და ამტკიცებენ, რავდენიმე იაპონელებისაგან მხეცურად დასახიჩრებული რუსის ჯარის კაცი ვნახეთ ომის ველზეო. მტკიცედ გვჯერა და დარწმუნებულნი ვართ, რომ იმისთანა შემაძრწუნებელი მოვლენა, როგორც დაჭრილ ჯარის კაცის მოკვლა და დასახიჩრება, ჩვენის ჯარის ზნეობის წინააღმდეგია. ხოლო ყოველს ჯარსა და ევროპიელთა ლაშქრებშიც მოიპოვება თითო-ოროლა კაცი, რომლებიც ზარბაზნის გრიალის დროს და ცხარე ბრძოლაში სისხლის ფანატიკოსად და ველურ იარაღად გარდაიქცევა... ევროპიელები ვერც კი წარმოიდგენენ, რავდენად ნათელი მოჰფინა ჩვენს ჯარს პირველმა გამარჯვებამ ომის ველზე და თავმომწონედ აიქმევინა: «შენ შემოგყურებს მთელი კაცობრიობა, თავი კარგა დაიჭირე, რომ არ შერცხვე. დაარწმუნე ევროპა, რომელიც აქამომდე მედიდურად გიყურებდა, რომ შენ აზიელი აღარა ხარ!»

ყოველი გენერალი, ყოველი აფიცერი, მთელი ლაშქარი მარად ფრთხილობს, რომ აზიელად არ დასახონ...

იაპონური გაზეთები თხოულობენ, რომ საჩქაროდ გამოძიება დანიშნონ და დამნაშავენი დასაჯონ. (პ. ვ.).

—

ლონდონის საკვირაო გაზეთებს ატყობინებენ ჩიფუდგან, ვითომც წარსულ პარასკევს გენერალი სტესელი გამოვიდა პორტ-არტურიდგან 7,000 კაცით, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. პორტ-არტურის მდგომარეობა ვითომც სახარბიელო არ არის. პურსა და ბრინჯს გარდა სხვა სურსათი სულ გამოილია. რუსები ცხენის ხორცით იკვებებიან და ჩინელები კატებითაო. საიდგან შოულობენ ამოდენა კატებს,—ამბობს გაზ. «ნოვოსტი»,—როდესაც პორტ-არტურში ჩინელები უფრო მრავლად არიან, ვიდრე კატებიო? ჩიფუდგან გაგზავნილი დეპეშა ირწმუნება, ვითომც მარშალ ოქუმ გენერალ სტესელს მოციქული გაუგზავნა ნებაყოფლობით ჩამაბარე ციხე და სამხედრო პატივისცემით მოგეპყრობიო. რა პასუხი შეუთვალა გენერალ სტესელმა — დეპეშიდგან არა სჩანს, ხოლო ადვილი მისახვედრი კი არის.

—

როდესაც ვლადივოსტოკის ესკადრა პირველად სათარეშოდ გამოვიდა, იაპონელების სავაჭრო გემი დაღუპა და ნავთსადგურში დაბრუნდა, გამოიანგარიშეს, რა ჯილდო უნდა მიეცეს მეზღვაურებს. დაღუპული გემი დააფასეს 140,000 მანეთად და საქონელიც 60,000 მანათად. აქედგან ¾ კრეისერებს უნდა რგებოდა, რომლებიც დათარეშობდნენ. თითო კრეისერს 37,000 მანათი ერგო. შემდეგ ეს ჯილდო კრეისერების მეზღვაურებმა თვითონ გაინაწილეს. თითო აფიცერს 300—800 მანათამდე ერგო, ხარისხის კვალობაზე, უფროსებმა-კი 1,300 მანათი მიიღო თითომ მერედ გამოსვლაზე, კონტრ-ადმირალ-ბეზობრაზოვის უფროსობით, ვლადივოსტოკის ესკადრამ უფრო კარგად იონავრა. თუ «იძუმარუ» და «ხიტაშიმარუ» სამხედრო გემებად ჩავაგდეთ, რადგან ჯარით იყო სავსე, «სადომარუ» ხომ სავაჭრო გემი იყო, ქვანახშირითა და ცხენებით დატვირთული, და მეზღვაურებს საფასე უნდა მიეცეს. ინგლისელთა სავაჭრო გემი «ალლანტოუნი» მეტი უნდა ღირდეს. თუ ამას სხვა დაღუპულ გემების ფასიც დაუმატეს, მაშინ ვლადივოსტოკის ესკადრის მეზღვაურნი სწორედ რომ მალე აშენდებიან (რ. ვ.).

—

გაზეთ «ბერლინ. ტაგებლატის» კორესპონდენტი სწერს: ვგონებ, არსად ისეთის გაფაციცებით არ ადევნებენ თვალყურს შორეულ-აღმოსავლეთის ომის ამბებს, როგორც ხონთქარ აბდულ-ჰამიდის სატახტო ქალაქშიო. ამის მიზეზი, რასაკვირველია, პოლიტიკააო. ყოველი დამარცხება რუსებისა უზენაეს მართლმსაჯულობის საქმედ მიაჩნიათ და იმედი ეძლევათ, რომ ოსმალეთის მუდმივი მტერი ეხლა მაინც შესუსტდება და მომავალში ოსმალთა იმპერიის ოპეკუნობას ვეღარ შესძლებს.

პოლიტიკურ მიზეზების გარეშე, ოსმალთა თანაგრძნობას სხვა, უფრო მკვიდრი საფუძველი უნდა ჰქონდეს, თუმცა თვითონაც ვერ მიმხვდარან: მე მგონია დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ ერთა ნათესაობას, რაც ამ ათის წლის წინად მიუნჰენის პროფესორმა ნაუმანმაც აღნიშნა.

პროფესორი ნაუმანი ცნობილი მეცნიერია და მისი აზრი ფრიად საყურადღებოა. იმას ზედმიწევნით შეუსწავლია იაპონია, სადაც კარგა ხანს უცხოვრია და საგეოლოგო ინსტიტუტის დირექტორად ყოფილა. შემდეგ ახლო-აღმოსავლეთიც კარგა გაუცვნია. ერთის შეხედვით კაცს ისე ეგონება, ვითომც ამ ერთა შორის არავითარი ნათესაობა არ უნდა იყოსო, მაგრამ ახლო რომ დააკვირდები და შეისწავლი, მრავალ საერთო თვისებას შენიშნავ და დარწმუნდები, რომ ერთის მოდგმისანი არიან. ერთობა ენაშიაც ეტყობათ. ორთავეს ენა, ოსმალურიცა და იაპონურიც, თავის ხასიათით თურქ-თათრის ჯგუფს ეკუთვნის. არამც თუ სიტყვის წარმოება და ლექსთა წყობა, არამედ მრავალი სიტყვა და გამოთქმა ერთი-

მანერთს ძალიან წააგვანან. ეს ერთობა იმდონად თვალსაჩინოა, რომ ნაუმანი თავის მოგზაურობის დროს ანატოლიაში ოსმალებს იაპონიურად უპასუხებდა და ასმენდა კიდეც.

შემდეგ ნაუმანი ამ ერთა ზნე-ჩვეულებასა და ხასიათს ეხება და ბევრს მსგავსებასა ჰპოვებს. ორთავენი ბუნებრივი დიპლომატები არიან. ოსმალებს ამ მხრივ დიდი ხანი ვიცნობდით; ეხლა-კი ეს თვისება იაპონელებსაც უნდა ეკუთვნოთ. ორთავენი ჩინებული მეომარნი არიან. მსგავსება სჩანს აგრეთვე ხუროთ-მოძღვრობასა და სახლ-კარის მოწყობაში. ნაუმანს მრავალი მაგალითი მოჰყავს ამის დასამტკიცებლად.

საყურადღებოა ნაუმანის აზრი, ამ ათის წლის წინად წარმოთქმული, რომ ოსმალნიცა და იაპონელნიც ევროპიულ ცივილიზაციას ერთნაირად ეტანებიან, ხოლო ზნეობრივი მხარე არ მოსწონთ, ჩვენს ცხოვრებას არ შეეფერებაო. თუმცა იაპონელებმა ევროპიულ სწავლა-მეცნიერებაში დიდი ნიჭი გამოიჩინეს, მაგრამ ევროპიულ კივილიზაციას მაინც ამავე თვალით უ. ყურებდნენ (პ. ვ.).

—

გირინის პროვინციის ჯარის დროებით სარდალს გენერალ ნადაროვს შემდეგი ბრძანება გაუცია:

აღეკრძალოს მანჯურიაში შესვლა ებრაელებს, გარდა იმ დიდ იჯარადრებისა, რომელთაც ხელშეკრულობა აქვთ სამხედრო საოლქო სამმართველოებთან და სამხედრო შტაბისაგან ღია ბილეთი აულიათ. (ხარ. ვ.).

**იაპონელების ტაქტიკა.**

რაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო, სამი დიდი ბძოლა მოხდა: მდინარე იალუზე, ძინ-ჯოუსთან და ვაფანგოუს. ეს სამი ბრძოლა კარგა ასურათებს იაპონელების ტაქტიკასა და იმათ სარდლების ოსტატობას. სამსავე ადგილს რუსის ჯარს გამაგრებული მაღლობები ეჭირა, რომლებიც იაპონელებმა იერიშით აიღეს. სამივე ადგილი სულ სხვა-და-სხვანაირად იყო გამაგრებული. უფრო მკვიდრ სიმაგერს ძინ-ჯოუ წარმოადგენდა, რომელიც ძლიერს ციხე-სიმაგრეს წააგავდა. იმის გამაგრებას ინჟენერებმა 107 დღე მოანდომეს. თვით მაღლობიც მიუვალია და ზედ 82 ზარბაზანი და ტყვიის მფრქვეველი დაეყენებინათ. მდინარე იალუს ნაპირი 55 დღეში გაამაგრეს, ხოლო იქ ისეთი მიუვალი მაღლობები არ არის, როგორც ძინ-ჯოუსთან, და იმ სიშორეზე ვერც მიაწოდეს თავის დროს. ვაფანგოუ-კი შედარებით უფრო მცირედ იყო გამაგრებული, რადგან ორს კვირაში მეტად არ შეიძლებოდა. მართალია, ვაფანგოუსთან რუსის ჯარი კარგს სიმაღლეზე იყო დაბანაკებული (1,800 ფუტი), ხოლო ვაფანგოუს ქედს გვერდები ღია აქვს და მტერს შეუძლიან გარშემო მოუაროს.

ამ სამს ადგილს რუსებს ჰყავდათ ჯარი: კავალერია რომ არ ვიანგარიშოთ, რომელსაც თითქმის არა გაურიგებია-რა:

1) იალუზე, გენერალ ზასულიჩს: 21 ბატალიონი, 86 ზარბაზნითა და ტყვიის მფრქვეველით;

2) ძინ-ჯოუსთან, გენერალ სტესელს: 12 ბატალიონი და 134 ზარბაზანი.

3) ვაფანგოუსთან, გენერალ შტაკელბერგს: 42 ბატალიონი, 89 ზარბაზნით.

1, იაპონელებსა ჰყავდათ: იალუზე, გენერალ კუროკის: 48 ბატალიონი და 138 ზარბაზანი (საგზირო გემებზედაც 12 ზარბაზანი);

2, ძინ-ჯოუსთან, გენერალ ოქუს: 36 ბატალიონი და 120 ზარბაზანი (გემებზედაც 38 ზარბაზანი.

3, ვაფანგოუსთან გენერალ ოქუს: 44 ბატალიონი და 200 ზარბაზანი.

ჯარისა და ზარბაზნების რაოდენობაზედ დაუმყარებიათ იაპონელების სარდლებს თვისი მოქმედება. სადაც ჯარი ბევრად სჭარბობდა რუსის ჯარს, იქ ჯარით უბრძოლიათ, სადაც არტილერია—იქ ზარბაზნით.

მდინარე იალუზე გენერალ კუროკის ჯარიც მეტი ჰყავდა (129%), თუ რუსის 23 და 24 პოლკებს არ ჩავაგდებთ რადგან ისინი უკან იდგნენ, და ზარბაზნებიც მეტი ჰქონდა (74%), თუ არ ვიანგარიშებთ რუსის არტილერიის მეექვსე ბრიგადას, რომელიც აგრეთვე უკან მდგარა. ამიტომ გენერალ კუროკიმ არტილერიაც მოიხმარა (17 და 18 აპრილს) და ქვეითი ჯარიც საიერიშოდ მიუშვა რუსის ბანაკზე და ხელისხელ შეაბრძოლა (მეორე და მეთორმეტე დივიზია რუსის სამს პოლკთან).

ძინ-ჯოუსთან გენერალ ოქუს ბევრად მეტი ქვეითი ჯარი ჰყავდა (200%), ხოლო არტილერია ცოტად სჭარბობდა რუსისას (18%). ამიტომ ამ ბრძოლაში გენერალი ოქუ ქვეითს ჯარს დაემყარა და გაბედულად გაიმძლვარა, თუმცა მაღლობიდგან რუსის არტილერია სეტყვასავით აყრიდა ყუმბარებს. გენერალ სტესელის სიტყვით, იაპონელების არტილერიას ამ ბრძოლაში ტყვია-ყუმბარა შემოაკლდა და რუსის სიმაგრე ვერ დაანგრია. მაშინ ქვეითი ჯარი იერიშით გაეშურა და გაიმარჯვა კიდეც.

სხვა ნაირად ყოფილა საქმე ვაფანგოუსთან: იქ გენერალ შტაკელბერგსა და გენერალ ოქუ ქვეითი ჯარი თითქმის თანაბრად ჰყავდათ (იაპონელები 5% სჭარბობდნენ); არტილერია კი იაპონელებისა ბევრად მეტი იყო (125%). ამიტომ გენერალ ოქუმ არტილერიას დაატანა ძალა. თუმცა იაპონელების ქვეითმა ჯარმა უკანიდან მოუარა რუსის მარჯვენა ფრთას, მაგრამ ახლო არც-კი მიჰკარებია. გენერალ შტაკელბერგის ქვეითა ჯარი იაპონელების მარჯვენა ფრთას დასცემია, მაგრამ არტილერიას ახლო არ მიუშვია და გენერალ გენგროსის დივიზიის პოლკის უფროსები და 83 აფიცერი ამაოდ დაუღუპნია. აქ არტილერიამ გაიმარჯვა.

ამ რიგად სამთავე ბრძოლაში იაპონელების სარდლებმა ხელოვნურად გამოიყენეს ის ძალა, რაც ხელთა ჰქონდათ, და ადგილ-მდებარეობის შესაფერად ამოქმედეს. ამასთანავე იარაღის დროზედ შერჩევა და მოხმარება გვაგულისხმებს, რომ იაპონელებს ძალიან კარგად სცოდნიათ, რამდენი ჯარი ჰყავდათ რუსის სარდლებს, რამდენი ზარბაზანი ჰქონდათ, და სად რამდენი მეომარი მდგარა.

იაპონელების ბრძოლა მდ. იალუზე 18 აპრილს და ვაფანგოუსთან 2 ივნისს ძალიან წააგავს ნაპოლეონის ბრძოლას აუსტერლიცთან (1805 წ.).

გენერალ ოქუს, ნაპოლეონისავით, მარჯვენა მხარეს, ვაფანგოუს ჩრდილოეთად, მცირე ჯარი დაეყენებინა. სულ 8 ბატალიონამდე, ხოლო შესაფერს მაღლობზე გაემაგრებინა, რომელიც მდინარე ტასახოს დასცქეროდა. მოსაზრებული ჰქონია, რომ რუსების ჯარი ამ ფრთას უკანიდგან მოუვლის და დაეცემაო. ამ მცირე ჯარს უნდა შეეჩერებინა გენერალ გენგროსის 5 პოლკი. უმთავრესი ძალა კი გენერალ ოქუს რუსის ჯარის შუბლის წინ დაეყენებინა, როგორც ნაპოლეონმა აუსტერლიცთან. რუსის შუბლის ჯარს შეადგენდა 4 მსროლელთა პოლკი და მარჯვენა ფრთაზედაც 6 მსროლელთა პოლკი. რუსის ჯარის მარჯვენა ფრთისაკენ გენერალ ოქუს გამოეგზავნა ორი დივიზია 50 ზარბაზნით და შუბლის წინააღმდეგ-კი—ერთი დივიზია 100 ზარბაზნით. შუბლში იდგა თვით გენერალი შტაკელბერგი, შედარებით, მცირე ჯარით (როგორც გენერალ კუტუზოვი 1805 წ.). გენერალმა ოქუმ შუბლს დაჰკრა და გაარღვია, შემდეგ მარცხენა (გენ. გენგროსის) ფრთას მიაწვა და მიღეწა. რუსის ჯარი იძულებულ შეიქმნა უკან დაეწია.

როგორც ვაფანგოუსთან, ისე მდინარე იალუზე რუსის ჯარი სიმამაცემ იხსნა გაჭირებისაგან: იქაც და აქაც იაპონელები გზაზე გადაეღობნენ, მაგრამ რუსის ჯარმა მტრის ალყა მარჯვედ გაარღვია, თავს უშველა და თავისი უფროსები (გენ. კაშტალინსკი მდ. იალუზე და გენ. გენგროსი—ვაფანგოუსთან) ტყვეობას გადაარჩინა.

ერთი რამ არის კიდევ შესანიშნავი იაპონელების სარდლების მოქმედებაში: სათადარიგო ჯარი არა ჰყავთ, ე. ი. ისეთი ჯარი, რომელიც უკან უნდა იდგეს მოსვენებით და სარდლის ბრძანებით იქით გაეშუროს, სადაც საჭიროა დახმარება. არც კუროკი და არც ოქუ ტყუილად ირ აცდენენ ჯარს და ყველას ერთად ამოქმედებდნენ (ეს შენიშნული იყო ჩინეთ-იაპონიის ომშიც 1894—1895 წ.წ.) ამისთანა მოქმედებას შესაძლოა სიკეთეც მოჰყვეს და ზიანიც. თუ რომ წინადვე ყოველიფერი ზედ-მიწევნით არ არის გამოანგარიშებული, თუ მტერმა რომელიმე ნაწილი შეარყია და სათადარიგო ჯარი კი არსად არი, შეცდომის გასწორება შეუძლებელი-ღა. შესაძლოა, მტერმა სულ შემუსროს ამისთანა უთადარიგო მოპირდაპირე ჯერ-ჯერობით იაპონელებმა არაფერი დააშავეს იმის გამო, რომ სათადარიგო ჯარი არ განაცალკევეს, პირიქით, ამით მოიგეს კიდეც, რადგან მთელი ჯარი ბრძოლაში გამოიყენეს. მაგრამ თუ შემდეგში ამნაირადვე იმოქმედეს და წააიბორძიკეს, დამარცხება იგე საგრძნობელი იქმნება, რომ გაქცევასაც კი ველარ მოასწრობენ. მაშინ ომი წაგებული იქმნება და მარშალ ოიამას ლაშქარი სრულიად ამოიჟლიტება. (რ. ვ.).

# ტფილისი

—

*** დღეს, ოთხშაბათს, 23 ივნისს, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი მიიღებს მთხოვნელთა და სამსახურის კაცთ თავისს სასახლეში.

*** ხუთშაბათს, 24 ივნისს, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი მთხოვნელთ არ მიიღებს.

*** საერთ განათლების სამინისტროს გამგემ შეატყობინა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ იმ მოწაფეებს, რომელთაც ერთხელ გამოცდით მიუღიათ სიმწიფის მოწმობა საშუალო სასწავლებელთა სრულის კურსისა, ნება აქვთ ნოვოროსიისა (ოდესის), ხარკოვისა და ყაზანის უნივერსიტეტებში შევიდნენ. ამასთანავე ბ-ნი მინისტრი სთხოვს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება, რომ წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტში (კიევისა) არ იქმნან მიღებულნი მომავალ სამოსწავლო წლიდგან ეს მოწაფენი.

*** მოგვივიდა სომხურის ჟურნალის «მურჰის» ივნისის ნომერი, სადაც ბ-ნ ფირუმიანის წერილია დაბეჭდილი, სახელად «ქართველთა ცხოვრება და მწერლობა»- წერილის საგანია 1) ახალი კომედია დ. კლდიაშვილისა «დარისპანის გასაჭირი» 2) ახალი გამოლაშქრება არმენისტ პროფესორთა და სომხების წინააღმდეგ, და 3) პეტრე უმიკაშვილის სიკვდილი.

*** გერმანულის გაზ. «ბერლინელ ტაგბლატის» უკანასკნელ ნომრებში დაბეჭდილია, რომ იტალიის პროფესორმა ტრომბეტიმ დასწერა მეტად მნიშვნელობიანი თხზულება, რომლითაც უეჭველად ამტკიცებს, არიული და სემიტური ენები ერთის ენისაგან არის წარმომდგარიო. მივაქცევთ ქართველ ფილოლოგების ყურადღებას ამ საგანზედ, რადგანაც ქართულის ენის მონათესაობა არიულ ენებთან ჯერ კიდევ ლინგვისტმა ბოპმა წამოაყენა, ხოლო მონათესაობა სემიტურ ენებისას მტკიცედ ადგია ამ ჟამად პროფესორი ნ. ი. მარრი.

*** ტფილისის საშუალო სასწავლებელთა მოსწავლენი, რომელნიც ყარსში გამგზავრნენ საექსკურსიოდ, ბუნების-მეტყველების ისტორიის ბ. ი. ვასილიევისა და ოთხის აღმზრდელის ხელმძღვანელობით, უკვე დაბრუნდნენ ტფილისში. მოსწავლეთ დაუთმეს სამი ვაგონი მე-3 კლასისა.

*** მამადავითის მთაზედ ფუნიკულერის ამყვანმა სააქციონერო საზოგადოებამ უკვე მიიღო ფუნიკულერის ორი ვაგონი, ნაწილ-ნაწილებად დაშლილი. თითო ვაგონში 50 კაცი მოთავსდება. ამ ვაგონების პლატფორმები და თვლები ავტომატიურის ტორმოზებით მთლიანად, დაუშლელად მიიღეს. იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა გაწყდა ფოლადის ჯაჭვი, რომლითაც ვაგონები მაღლა ავა და ჩამოვა, მოწყობილია განსაკუთრებული ტორმოზები, რომელიც მსწრაფლ შეაჩერებს თვლების ტრიალს, რის გამოც ვაგონები დაუყოვნებლივ გაჩერდება გზაში.

*** 19 ივნისს, საღამოთი, კრება ჰქონდა ქალაქის ღამის თავშესაფართა გამგე კომისიას. კრებამ განიხილა სახლის პატრონის ბ-ნ სარაჯიშვილის განცხადება; ბ-ნი სარაჯიშვილი წინადადებას აძლევს კომისიას, რომ ქალაქმა შეიძინოს იმისი სახლი თავშესაფარისათვის, რომელიც ეხლაც ამ სახლშია და თხოულობს 2,500 მანეთს; ამასთანავე, ქალაქმა უნდა იკისროს ბანკის ვალი 15,000 მანეთი. კომისიას სასურველად მიაჩნია, რომ ღამის თავშესაფრები საკუთარს სახლში იყოს მოთავსებული; ამის გამო კომისიას განზრახვა აქვს დაათვალიეროს ჯერ სხვა სახლები და, თუ შესაფერი ვერ იშოვნეს, მაშინ დაიწყოს მოლაპარაკება სარაჯიშვილთან მისის სახლის შეძენის შესახებ.

*** დღეს, 23 ივნისს, ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იმ მამულების გასასყიდად, რომლის პატრონებსაც თავის დროზედ არ შეიტანეს გადასახადი.

*** ტფილისის საკანტროლო პალატამ მიჰმართა ტფილისის ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რა დროიდგანა და რა საბუთის ძალითა ჰფლობს ქალაქი მამადავითის მოედანზედ საეკლესიო მიწას, ზომით 200 ოთხ. საჟ.; აგრეთვე სთხოვა შეატყობინოს, თუ როდის გაჰმართა ამ ადგილზედ ქალაქმა სკვერი, ან საკუთრებადა სთვლის ამ მიწას ქალაქი თუ არა.

*** ხუთშაბათს, 24 ივნისისათვის, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველ დეპარტამენტში დანიშნულია გასარჩევად საქმე მიხეილ კობახიძისა, ვასილ იაშვილისა და მიხეილ მჭედლიშვილისა, რომელთაც ჰბრალდებათ ვაჭარ ვლასოვზედ თავდასხმა, როდესაც ეს უკანასკნელი ტფილისის საკრედიტო საზოგადოების სადგომიდგან გამოდიოდა, და 1,000 მანეთზედ მეტის წართმევა.

*** ქალაქის გამგეობამ ხარფუხისა და მამადავითის რეზერვუარების გასაფართოვებლად და წყლის მილის ონკანების გასამრავლებლად გადასდო 50,000 მან. შაბათს, 19 ივნისს, სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც ამ საქმის მოწყობა აქვს მინდობილი. კომისიამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა. კრებამ მიანდო ა. ს. ბაბოვს, შეიძინოს მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებაში გეგმები და საჭირო მასალები, რომელიც დასჭირდება ინჟენერ მეცს წალკის წყაროების გამოსაკვლევად და იქიდგან წყლის მილის გამოსაყვანად.

*** ტფილისის აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელმა, კავკასიის მე-2 მსროლელთა ბატალიონის პოლკოვნიკმა გ. ზ. კოტლოევმა გამოაცხადა პოლიციაში, რომ 17 ივნისს, საღამოს 5 საათზედ, მივიღე ფოსტით ბაქოდგან ვიღაც ვართანოვისაგან გამოგზავნილი ამანათი, წონით 7 გირვანქა, და როცა გავხსენი, აღმოჩნდა, რომ შიგ გახვეული იყო რამდენიმე ნალმი, წვრილი ზონრები და პატრუქებიო.

*** ტფილისის ქალაქის საბჭომ, თანახმად გამგეობის წევრის თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მოხსენებისა, შემწეობა მისცა ქ-ნ ბუდრინას 1,000 მან.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ სა-

# ფელეტონი

—

**ქალთა სამეურნეო საზოგადოება «შ რ ო მ ა».**

ქუთაისის გუბერნატორის მოადგილემ 4 ამ თვეს დაამტკიცა ქუთაისელ ქალთა სამეურნე საზოგადოება «შრომის» წესდება. ვგონებ, ამ გვარ საზოგადოების დაარსება პირველი მაგალითია არამც თუ საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. ამ სიმპატიურო საზოგადოების დამწყებია ქ-ნი ნ. პ. ქიქოძისა. ვინ არის ეს ქალი? ის არის ოჯახის და ექვსი შვილის პატრონი ადამიანი. მას არ გაუთავებია ცხრა კლასები, მას არა აქვს გიმნაზია-ინსტიტუტის დიპლომები. მას არ მოაქვს თავი რომანების კითხვით და რუსულის ტიტინით. ქ-ნი ნატალია ქიქოძისა არის ტიპი წინანდელი ქართველი ქალისა, მშრომელი, ბეჯითი და ენერგიული. მისი ფხიზელი სული და გონება არ მოუშხამავს სკოლის რუტინას. მას მიუღია პირველდაწყებითი სწავლა, მაგრამ თავისი ნიჭით და მეცადინეობით ისე განუვითარებია თავი, რომ სწორედ სასიამოვნოა მასთან საუბარი. თავისი საქმის ხომ ნამდვილი ფანატიკოსია, აგზნებული და გატაცებული. ამ პატივცემულ მანდილოსანს თავის მეცადინეობით შეუსწავლია მეაბრეშუმობა, პარკის მოყვანა, ძაფის ამოღება, თესლის დამზადება, დაირაის და და სხვა ნაქსოვთა ქსოვა; შეუსწავლია რიგიანი ჭრა-კერვა და ხელსაქმე, შეუსწავლია სხვა-და-სხვა დარგი მეოჯახობისა და ეს თავისი ცოდნა გადაუცია სხვა ქალებისათვისაც. ესა და მისი მოწაფენი გზავნიან თავიანთ ნასაქმარს სხვა-და-სხვა გამოფენებზედ, საიდანაც იღებენ ჯილდოებს.

და აი ამ ქალმა მოიწადინა ახლა დაეარსებინა ქალთა სამეურნეო საზოგადოება და მეტადრე მეოჯახობის შკოლა, რათა მისა და სხვა შეგნებულ ქალთა მოქმედებას მისცემოდა უფრო ფართო ასპარეზი. ამისათვის ქ-ნმა ქიქოძისამ გუშინ საღამოს, ე. ი. 15 ამ თვეს, მიიწვია ქუთაისის ქალაქის საბჭოს დარბაზში ორასამდე ქალი და რამდენიმე კაცი, დაურიგა ყველას დაბეჭდილი წესდება და აუხსნა დამსწრეთ სამეურნეო საზოგადოების და შკოლის მნიშვნელობა. ყველამ საამოთ ცნო ეს აზრი, აარჩია კრების თავმჯდომარეთ და ტაშის კვრით გამოთქვა თავის მოწონება. კრებას დაესწრენ ასზედ მეტი ქალი, ამათში 60-დე ჩაეწერა საზოგადოების წევრათ; ჩაეწერენ წევრათ ეგრეთვე რამდენიმე კაციც. საწევრო გადასახადია წლიურათ მხოლოთ ორი მანეთი, პაის ფული კი სამი მანეთი. ეს მცირე გადასახადი შამოიღეს იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი რიცხვი მიიზიდონ წევრებათ და გაუადვილონ ყველას ფულის შამოტანა. კრება თანაგრძნობით მოეკიდა თავმჯდომარის წინადადებას და მოახდინა რამდენიმე დადგენილებანი, მათში ყველაზედ უფრო საგულისხმოა სამეურნეო შკოლის დაარსება.

როგორც ცნობილია, დასავლეთი საქართველო ფრიად ეტანება სკოლებს. ვის არ შეჰყავს თავისი შვილი კლასში, ვის არ სურს მიაღებინოს სწავლა თავის ქალვაჟს! ამ აზრითაა გამსჭვალული დიდი და პატარა, ქალი და კაცი, თავადი და აზნაური, გლეხი და დვდელი. ყოველ წლივ აგვისტოს 10-დან იწყება დენა და ორ კვირაში მოაწყდებიან ქუთაისს ათასი ბავშვი თავიანთ მშობლებით, რომელთა წინაშე მკაცრად იხურება სკოლის კარები უგულო მეთაურნი მკვახეთ უცხადებენ საბრალოებს საშინელ სიტყვას: არაა ალაგი.. და, ვით წყაროსთან მისულნი მწყურვალნი, ბრუნდებიან წყალ-უსმელნი, ბრუნდებიან იმედ-მიხდილნი საბრალო ბავშვნი და მათი მშობელნი ცრემლით და ტირილით... ის მცირედი რიცხვი, ის «ბედნიერნი», რომელნიც შედიან კლასში, ნეტა რას სწავლობენ ისინი? ნეტა რას სწავლობენ ჩვენი ქალები გიმნაზია-ინსტიტუტში? სწავლობენ ყველაფერს, გარდა იმ ცოდნისა, რაც ყველაზედ უფრო საჭირო ცხოვრებაში, რაც უფრო სჭირდება მათ ოჯახში,-ქმარშვილში და საზოგადოებაში. დიაღ, სწავლობენ რუსულს, სწავლობენ ალგებრას, გეომეტრიას, ფიზიკას, ქიმიას, ანატომიას და მინერალოგიას, მაგრამ ყველაფერს კი ისე უსისტემოთ და დოგმატიურად, რომ გათავების შემდეგ ერთ წელაწადს და ხშირად თვით სკოლაშივე ავიწყდებათ ყველაფერი (მე არ მყავს სახეში თითო-ოროლა ბუნებით ნიჭიერი ქალი). არ ავიწყდებათ მხოლოდ რუსული ტიტინი, რომანები, მოდები, ცეკვა-შუშპარი, უგემური პრანჭვა-გრეხა და კოპწიაობა; პირ იქით ამ საგნებში უფრო და უფრო იწაფებიან კიდეც. ამ ნასწავლ ქალებში უფრო-მხნე და ნიჭიერნი მიდიან კურსებზედ, მეტადრე ექიმათ; უმეტესობა ხდებიან მასწავლებელნი, რომ დაამახინჯონ ბავშვები, დანარჩენები კი აღამებენ წუთი-სოფელს უსაქმობაში და ოცნებობენ გათხოვებაზედ, ისე როგორც ჩვენი ზოგიერთი სტუდენტ გიმნაზიელი მზითვიან ცოლზედ, დიპლომზედ და თფილ ადგილზედ.

ახლა მიბრძანეთ, იციან ამ ქალებმა მეოჯახობა? იციან იმათ ქმარშვილის მოვლა და ბავშვების ცნობიერი აღზრდა? ვარგიან ისინი ან ქალაქში და ან მეტადრე სოფლათ? იციან სამშობლო ენა, მწერლობა და ისტორია? ესმით კი ცხოვრება? სავალალოთ ერთად ერთი პასუხია: არა და არა... ამ ნასწავლ-დიპლომიანმა ქალებმა არ იციან მეოჯახობა, არ იციან, თუ როგორ გააკეთონ ან გააკეთებინონ მოსამსახურეს საჭმელი, პური ც მჭადის, მხალი ც ხორცეული, წნილი და კონსერვები, ხმიადინი, ტკბილეული და ათასი რამ; არ იციან, თუ როგორ მოწველონ ძროხა, ამოიყვანონ ყველი და დაამზადონ კარაქი და მაწონი, არ იციან, თუ როგორ მოაშენონ შინაური ფრინველები, არ იციან მეაბრეშუმეობა, არ იციან მებოსტნეობა და ყვავილების მოვლა-მოშენება, არ იციან ხშირად უბრალო ჭრა-კერვაც კი, არ უყვართ შრომა და სისუფთავე, არ უვლიან წესიერად ქმარ-შვილს, ვერ ზრდიან რიგიანად ბავშვებს, არიან რაღაც ზანტნი და მო-

ყასპიების ბეითალად დროებით დანიშნა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ბეითალი ნ. ს. თავდგირიძე.

*_* ჩვენს მკითხველებს უნდა ახსოვდეთ უთუოდ, რომ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად ნამყოფი ოჰანეზოვი სთხოვდა ქალაქს, რომ მიეცათ მისთვის ის 500 მანეთი, რომელიც ჯამაგირში ერგებოდა. ოჰანეზოვის თხოვნამ ბევრს ინსტანციებში გამოიარა, მაგრამ მაინც ვერას გახდა. რამდენჯერმე ქალაქის საბჭომაც განიხილა, მაგრამ უარი უთხრეს. ეხლა ოჰანეზოვს პირდაპირი «დიპლომატიური» ურთიერთობა შეუწყვეტია ქალაქის გამგეობასთან და რწმუნებულის საშუალებით კვლავ განუმეორებია თავისი თხოვნა. ქალაქის გამგეობას რომ თავი მოჰბეზრებია, გაჯავრებულს აუღია და გადაუწყვეტია მიეცეს ოჰანეზოვს ის 500 მანეთი, რომელსაც ჯამაგირში გვედავებოდა და, ამასთანავე, დაუდგენია, რომ მისი თხოვნა არ განეხილათ. ზოგი ჭირი მარგებელიაო,—ნათქვამია!.

*_* ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: «აგერ ორ-სამ კვირაზედ მეტია, რაც სოგურაშვილის სახლს, რომელიც თუმანოვის ქუჩაზედაა, ვიღაცეები ქვებს უშენენ, რომლისგანაც ფასადის შუშები სრულიად ჩალეწილია და ხშირად ბედნიერ შემთხვევის წყალობით თუ გადარჩენილან სასროლ ქვისაგან, ასე რომ, — მოსალოდნელია ადამიანიც იმსხვერპლოს ნასროლმა ქვებმა. ამის შესახებ არა ერთხელ აუწყა სახლის პატრონმა პოლიციას, ნაგრამ ის ყურს არ იბერტყს, ამიტომ ჩვენთვინ არა სცადნან და ქვა-ყუმბარების დაშენა სახლზედ ისევ ისე სწარმოებს ყოველ საღამოობით; ასლა დავგრჩენია, რომ გავამაგროთ ჩვენი პოზიცია ჩვენ თვითონ და თავი დავიცვათ, თორემ არავინ ყურადღებას არ გვაქცევს».

*_* 19 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, ერევნის მცხოვრებმა ჭუსეინ-ალაკპერ-ოღლიმ განუცხადა პოლიციას შემდეგი: როდესაც ბაღში სკამზედ ვიჯექი, მესამე საპოლიციო ნაწილში, მოვიდა ჩემთან ვიღაც უცნობი კაცი და ჩემს გვერდით დასდო ქისა, რადაც მრგვალი ლითონით სავსე, რომელიც ოქროს ხუთ-მანეთიანებსა ჰგავდა. ცოტა ხნის შემდეგ უცნობმა დამიწყო თხოვნა ფულებისა, ვითომდა დაჰკარგა ქისიდგანაო. მეც ვუჩვენე ჩემი ქისა, რომელშიაც 60 მანეთი მქონდა. უცნობმა გამომტაცა ფულიანი ქისა ხელიდგან, გაიქცა და სკამზედ დასტოვა თავის ყალბ ყვითელ ლითონებით სავსე ქისაო».

*_* 18 ივნისს, შუადღის 12 საათზედ, ერისთავის ქუჩაზედ მცხოვრებ კაპიტნის ქვრივის ე. თ. პავლოვის სახლში მისულა სამი ქალი, რომელნიც წინადაც თურმე დადიოდნენ მასთან, მიუტანიათ ერთი ბოთლი არაყი საუზმითურთ და დაუწყვიათ მასპინძლი. ამ დროს ერთი ქალი შეუმჩნევლათ შეპარულა მეორე ოთახში და მოუპარავს იქიდგან 5,800 მან. ნაღდ ფულად, ორი საქალე ოქროს საათი ოქროს ძეწკვით, დირებული 300 მან., 1 ვერცხლის საათი, დირებული 20 მან., 5 ოქროს ბეჭედი, ბრილიანტებით შემკული, ღირებული 2,000 მან., 62 ძველებურ ყალიბის მანეთიანები და ოქროს ბროშკა, ბრილიანტებით შემკული. პოლიციის 9-10 ნაწილის ბოქაული

ზედგინიძე მხნედ შეუდგა ქურდების ძებნას და აღმოაჩინა კიდეც. ქურდები აღმოჩნდნენ ტფილისის მოქალაქე ალექსი სუხოვეცკი, გლეხის ქალი ქსენია შერმადინოვისა და ქრისტინე პოპოვისა. ქურდები შეიპყრეს და ქურდობაში გამოტყდნენ- ფულისა და ნივთების მხოლოდ მცირედი ნაწილი-ღა უპოვნეს.

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის“ გუშინდელს ნომერში, ფელეტონში ბ-ნ ცალხელის ლექსის უკანასკნელ ხანაში, მესამე სვეტში, შეპარულია შემდეგი სამწუხარო შეცდომები: «დამპარ-ზნებულს», უნდა იყოს «დამპარ-ადგზნებულს»; «სუსტი ძალებით», უნდა იყოს «სუსტი ძალები».

## ჩვენებური ამბები

**ახალციხე** *). ამასთანავე არ შეგვიძლიან საყოველთაოთ არ მოგმართოთ ყველა გულ-შემატკივართ და არ გთხოვოთ შეძლებისა დაგვარად შემწეობა ზემოხსენებულ სამკითხველოსთვის ფულითა, თუ წიგნების შემოწირულებით. იქმნება ვინმემ სთქვათ, რა დროს სამკითხველოა, როდესაც ათასი საჭირ-ბოროტო საქმე გვაწევს თავზე გასაკეთებელიო, მაგრამ თუ წარმოიდგენთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს აქ ამ სამკითხველოს, დარწმუნდებით, რომ მისი მკვიდრ ნიადაგზე დამყარება აუცილებელი საჭიროებაა. გაგახსენებთ, რომ ეს სამკითხველო არსებობს საქართველოს ერთს იმ კუთხეში — ძველად დიდებულ მესხეთში, სადაც ქართველთა ერის სიცოცხლე სდუღდა, სადაც ხუროთ მოძღვრება და ყოველგვარი ხელოვნება უმაღლეს წერტილამდე იყო მიღწეული, რასაც ჰმოწმობენ მრავალგვარი ნაშთნი წარსული დიდებისა: ზარზმისა, ვარძიისა, საფარის მონასტრებისა, აწყურის ციხისა და სხვა მრავალ ეკლესიებისა და ციხეებისა, რომლითაც სავსეა ყოველი კლდეღრე მესხეთისა და რომელთა გამოკვლევისა და შესწავლისათვის მთელი წლებია საჭირო; სადაც იყო დედა-ბუდე კულტურისა, საიდანაც მომდინარეობდა მთელს საქართველოში საეკლესიო და საერო ლიტერატურა, სადაც დაიბადნენ და აღიზარდნენ: ავტორი უკვდავი «ვეფხის ტყაოსნისა» შოთა რუსთაველი, პოეტი სარგის თმოგველი და სხვა მრავალნი სახელოვანნი მწერალნი და სასულიერო და საერო თხზულებათა მთარგმნელნი და, სადაც.. ეხლა აღარაფერია, აჩრდილიღაა მხოლოდ წარსული დიდებისა. ორასის წლის ოსმალთა ბარბაროსობამ მთლად ჩანთქა დიდებული მესხეთი, დაგვიტოვა მხოლოდ გახორციაკებული მხარე, და ნაცვლად გამოჩენილ გმირთა დღეს სრულიად გადაგვარებული, გაღატაკებული, გაუგებარი, მშიშარა და უმეცარი ქართველი შეგვრჩა ხელში. ასეთ სამწუხარო გარემოებაშია ეს მხარე და საშუალება კი, რითაც შეეძლებოდათ გამოფხიზლება, წარმატების გზაზე დადგომა და თვით ცნობიერების შეგნება, არა აქვთ-რა, თუ არ ჩავთვლით ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების ერთად ერთს ქალთა სასწავლებელს, სადაც დიდათ პატივცემული მარიამ გრიგოლის ასულის გამრეკელის მეცადინეობით მართლა სასურველ ნიადაგზეა დაყენებული მოზარდ ქალთა სწავლა-აღზრდა. სამოქალაქო, სამრევლო და სამინისტრო ერთი ან ორ კლასიანი სასწავლებლები ხომ დიდი ხანია ვიცით, რასაცა სძენენ ბავშვებსა, წიგნთ-საცავ-სამკითხველოები კი სანთლით საძებნელია.. მთელს მესხეთ-ჯავახეთში სულ სამია: ახალციხისა, უდისა, და ბარალეთის კერძო პირთა წიგნთსაცავი, რომელიც, როგორც ამბობენ, სამწუხაროდ, მალე განისვენებსო. ამგვარ გარემოებაში, დამეთანხმებით, ძრიელ საჭირო და სასარგებლო არის წიგნთ-საცავ-სამკითხველო, სადაც ცოტად თუ ბევრად წერა-კითხვის მცოდნეს თავისუფლად შეეძლება სიარული ჟურნალ-გაზეთებისა და სასარგებლო წიგნების საკითხავად, რომ შეიგნონ თუ როგორ იყვნენ ძველად მესხეთის შვილნი სარწმუნოებით, ენით, სიდარბაისლით, შეძლებით, სიმამაცით და რა გარემოებამ დააქვეითა დღეს ისინი, რანი არიან დღეს და რას უნდა მიესწრაფებოდნენ მომავალში.

სწორედ ესეც იყო მიზეზი, რომ 1895 წელს 27 მარიამობისთვეს, რამდენიმე ადგილობრივ პირთა დახმარებით ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მთავრობის ნებართვით, დააარსა ახალციხეში იაფ-ფასიანი სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რომლის შესანახად ნახევარი ხარჯი იკისრა თვით საზოგადოებამ და ნახევარი ადგილობრივმა საზოგადოებამ. საქმის კეთილად წარმოებისათვის სამკითხველოს დაარსებიდანვე ამორჩეულ იქმნა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის სამკითხველოს სამზრუნველოს წევრთა კომიტეტი, გამგე სამკითხველოსი და მდივან-ხაზინადარი. კომიტეტის საზრუნს შეადგენდა და შეადგენს, მოუპოვოს სამკითხველოს წევრები (წლიური გადასახადი 2 მანეთია) და აღმოუჩინოს წყარო შემოსავლისა ფულით თუ წიგნებით. ამ მხრივ, უნდა მოგახსენოთ, სამზრუნველოს კომიტეტმა დიდი საქმე გააკეთა. სამკითხველოს ანგარიშიდან სჩანს, რომ წლისა და ოთხი თვის განმავლობაში, ესე იგი 27 მარიამობის თვიდან 1895 წ. 1896 წლის პირველ იანვრამდე, სამკითხველოს ჰქონდა 521 ცალი ქართული და 196 ცალი რუსული წიგნი, რომელთა შორის სამასამდე შემოწირულია. 1903 წლის 1 იანვრისათვის კი სამკითხველოს ჰქონდა 1150 ცალი ქართული, 574 ცალი რუსული წიგნი. გარდა ამისა სამკითხველოს მუდამ წელს მოსდის ათითორმეტი ჟურნალ-გაზეთები ზოგი თავის ხარჯით, ზოგი კი წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხარჯითა. ამავე კომიტეტმა შეუმცირა წ. კ. საზოგადოებას ყოველწლიური შესაწევარი ათი-თორმეტი თუმანი ექვს თუმნამდე და, რაც უფრო ყველაზე თვალსაჩინო და სანაქებოა, შესძინა სამკითხველოს საკუთარის შენობის შესაძენად სამოც და ხუთ თუმნამდე.

ადგილობრივ მცხოვრებთაც მალე შეიგნეს სამკითხველოს მნიშვნელობა. იმავე დროს განმავლობაში (27 მარიამობისთვიდამ 1895 წ. 1 იანვრამდე 1896 წ.) მკითხველი შესულა 5456-ჯერ, ამათგან ქართველი 5188, რუსი 166, სომეხი 67, და გამოუტანიათ წიგნები სახლში წასაკითხად 2130 ჯერ. ეს რიცხვი ყოველ წლივ ერთი ორად მატულობდა, მხოლოდ სამკითხველოში მოსიარულეთა რიცხვმა, ცოტა არ იყოს, ბოლო წელს იკლო. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა სამკითხველოსთვის რიგიანი შენობის უქონლობაა. ოთახი, რომელშიაც არის მოთავსებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო, დაძველდა. ზამთარში, ღვინობისთვის ნახევრიდან მარტის გასვლამდე, საძნელო ხდება სამკითხველოში ჯდომა და კითხვა, სამწუხაროდ იმდენი საშუალება კი არ არის, რომ ქირა მეტი ვაძლიოთ და რიგიან შენობაში მოვათავსოთ. არც მოიპოვება ყველასათვის მისაწდომ ალაგას რიგიანი შენობა. სამკითხველოს სამზრუნველოს დიდი ხანია აზრადა აქვს საკუთარი შენობის შეძენა და მით სამუდამოთ უზრუნველ ყოფა სამკითხველოსი, რისთვისაც, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, უკვე მოეპოვება 650 მ., მაგრამ, აბა, ამ ფულით რა შენობის შეძენა შეგვიძლიან?!

აი სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს უმორჩილესად ვსთხოვოთ ყველა გულშემატკივართ, არ დაიშურონ და. შეძლებისა დაგვარად, შემწეობა აღმოგვიჩინონ, ამ ფრიად სასარგებლო, საშვილიშვილო საქმის განხორციელებაში.

შემოწირულება ფულისა თუ წიგნებისა გულითადის მადლობით იქნება მიღებული. ამასთანავე გაახლებთ ზემოხსენებულ წარმოდგენის ანგარიშს.

შემოსავალი: გაყიდულ ბილეთებისაგან 199 მან. 50 კაპ., შემოწირულობა სხვა და სხვა პირთაგან 10 მან. 50 კაპ. სულ 210 მან.

დანახარჯი: მარკებისა 13 მან. 49 კაპ. ტელეგრამმისა 2 მან. 75 კაპ., დურგალს სცენის მოსამართად 1 მ. 20 კ., მკერვალს 2 მ. 50 კაპ., დალაქს 2 მან. 50 კაპ., მოახლეებს 7 მან. 5 კაპ., სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯი 1 მან. 61 კაპ. შენობის გათბობა-განათებაში და ხარჯი ბუფეტისა 39 მან., სულ 70 მანეთი. წმინდა შემოსავალი დარჩა 140 მან.

მდივანი და ხაზინადარი ახალციხის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი ევა ალექსანდრეს ასული დეკანოზიშვილისა.

*) იხ. «ივერია» № 144.

## ხ ა რ კ ვ ე ვ ი

გაზ. «მოსკოვსკ. ვედომ.»-ი იუწყება, ინგლისურ გაზეთ «Deili Chronicle»-ს ატყობინებს თავისი პეტერბურგელი კორესპონდენტი შემდეგს:

«რუსეთის განაპირა ქვეყნებსა და ქალაქებში უკვე იჩინა თავი რევოლიუციამ, რომლის ნიშანიც არის ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის ბობრიკოვის მოკვლა, ფინლიანდიის სენატში მომხდარი».

შემდეგ ხსენებული ინგლისური გაზეთი სწერს:

«რუსეთის მთავრობამ თვითონ განიზრახა ომის გათავების შემდეგ ამ მომავალს შემოდგომაზედ მოახდინოს ძირითადი ცვლილება სახელმწიფოს წესწყობილებისა. ამ აზრით რუსეთის მთავრობამ თვით დანიშნა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კონსტიტუციის წესები და დაადგინოს რუსეთში პარლამენტი, რომელსაც მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება ექმნებაო».

შემდეგ «მოსკოვსკ. ვედომ.»-ი სწერს, «ინგლისური გაზეთი იქადის, რომ ვითომ მან უკვე იცის შინაარსი ამ კომისიის-მიერ შემუშავებულ პროექტისაო: ამ კომისიამ უარ ჰყო დასავლეთ-ევროპის ყველა კონსტიტუციები და სამაგალითოდ სცნო გერმანიის რეიხსტაგი, რომელიც უფრო შესაფერი გამოდგა რუსეთის გემოვნებისა და ჩვეულებისათვისაო».

«მოსკოვსკი ვედ.»-ი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ამნაირი ჭორები მხოლოდ ინგლისსა და ინგლისურ პრესაში ვრცელდება, რომელსაც კაცმა ერთი სიტყვაც კი არ უნდა დაუჯეროსო. ალბად რომელიმე ცნობის მოყვარე კაცმა უხუმრა და უთხრა რაიმე მაგვარი ლონდონის გაზეთის კორესპონდენტს, რომელმაც ერთი წუთიც არ დააყოვნა და ლონდონში აფრინა თავის გაზეთისათვის ასეთი გემრიელი ლუკმა—კორესპონდენცია, რაიცა ჩვენ მტრებისთვის მეტად სასიამოვნო არისო.

## დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივნისი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება პეტერბურგისა და ზოგიერთა სხვა სამხედრო ოლქების საომარ ფეხზე დაყენების შესახებ - დამატება: მოწვეულ იქმნან სამსახურში საჭირო რიცხვი დაბალ ჯარის-კაცთა პეტერბურგის, სამხედრო ოლქის მაზრებიდან, შემდეგი გუბერნიებიდან: ესტლიანდიისა, ლიფლიანდიისა, ნოვგოროდისა; მოსკოვის ოლქისა: გუბერნიები — ტვერისა, მოსკოვისა, ტულისა. ზოგიერთ ზემორე ჩამოთვლილ მაზრებში შეეწეროს საჭირო რიცხვი ცხენებისაც, რომელიც მოხსენებულია კერძო ცვლილებათა I მუხლში. თანხმად ამავე ცვლილებისა უნდა მოწვეულ იქმნას საჭირო რიცხვი სათადარიგო ჯარის-კაცთა ზოგიერთი კატეგორიები, რომელნიც არიან გუბერნიებში-მოსკოვის ოლქისა — მოსკოვისა, ვლადიმირისა, ნიჟნინოვგოროდისა და ტვერისა, ყაზანის ოლქისა — ყაზანისა, პერმის, ვიატსკის და ციმბირისა, და კიევის ოლქის — კიევისა და პოლტავისა. უნდა მოწვეულ იქმნან აგრეთვე იმპერიაში მცხოვრებნი სათარიგო ოფიცრები.

**კოპენჰაგენი.** გემ «ნორიეზე» იყო 644 პასაჟირი, ამათგან 79 დანიელი, 68 შვეციელი, 296 ნორვეგელი, 14 ფინი და 236 რუსი.

**ლიტჩრფილდი**- (ილლინოისი). («რეიტ. სააგ.»). ჩიკაგოდან ს.-ლუის მიმავალი ექსპრესსი რელსებიდან გადავარდა; ცეცხლი გაუჩნდა; 20 კაცია მკვდარი.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). ტოკიოს უთავრესი გაზეთი თუმცა რწმუნებით ლაპარაკობს გერმანიაზე ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ, მაგრამ მაინც შიშობს, რომ გერმანია რუსის ესკადრას თავშესაფარს მისცემს კიაოჩაიოში. თუ გერმანია ამას ჩაიდენს, იაპონია, სამწუ-

---

ხარშულნი არსებანი, არ იციან თავიანთი დედა-ენა, ქართული მწერლობა და ისტორია, პირ-იქით დასცინიან და აბუჩათ იგდებენ მას, რაც სხვაგან შეგნებულ ერთა ქალებს მიაჩნიათ წმინდათა წმიდათ და ზენაარათ. ასე გასინჯეთ, ეს ცხრაკლას-დიპლომიანი ქალები ხშირათ ვერ ახერხებენ რიგიან მუსაიფს ვერც ერთ ენაზედ და სწორეთ უხერხელათ გრძნობ თავს მათთან, სანამ არ დაუწყებ არშიყობას და არ ეტყვი გაცვეთილ ქათინაურებს. მხოლოდ მაშინ გაალიმებ, მხოლოდ მაშინ ამოაღებინებ ხმას ამ უენო არსებათ. (უეჭველია, ყველა არაა ამგვარი; თითო-ოროლა მცოდნე, შეგნებული და განვითარებული ქალი მათშიაც ურევია, მაგრამ ეს შედეგია შკოლის კი არა, არამედ ბუნებრივ ნიჭის, კარგი წრისა და ოჯახის). მაშ თუ აგრეა, თუ ასე მახინჯდებიან სულით და ხორცით ჩვენი ქალები, რაღათ ვხარჯავთ მათზედ ათას მანეთს? რაღათ შეგვყავს ისინი გიმნაზია-ინსტიტუტში? რაღათ ვაწვალებთ მათ იქ ცხრა და ათ წელიწადს? ნეტა რათ გვინდა მათი მენდლები და დიპლომები, თუ ეს ჩვენი დები და შვილები მახინჯდებიან ისე, რომ აღარ ვარგიან სოჯახოთ და საქმარ-შვილოთ?! მიუციათ ეს კითხვა მშობლებს თავიანთთვის?! ჩაუფიქრებია ამ სამწუხარო მოვლენას ჩვენი პრესსა და საზოგადოება?! თუ აგრეა, მაშ რა პასუხი მიიღეს? რა ქნეს? რა ილონეს?. არაფერი... დიაღ, ჩაუფიქრებივართ ცოტათ თუ ბევრათ ყველანი ამ სავალალო მოვლენას, მაგრამ ეს შეგნება არ გაცილებია გონების საზღვარს, იგი არ ქცეულა გრძნობათ, არ გაურთხამს ღრმა ფესვები ჩვენს სულში, არ ქცეულა იმ მწვავე სურვილათ, რომელიც შეებრძოლებოდა ყოველსავე დაბრკოლებას და ეცდებოდა, გადაგვარებულ არსების ნაცვლათ მიეცა ერისთვის საღი, მხნე, მცოდნე და მშრომელი ქართველი ქალი.

ეს ნაკლი შეუგნია სხვათა შორის ქ-ნ ნატალია ქიქოძის მეუღლეს. ეს შეგნება ქცეულა მასში გრძნობათ, რასაც ალუძრავს რწმენა და მხნეობა. აჰა, შეიქნა ეს ქალი სამეურნეო საზოგადოების დამაარსებელი და დღეს შესდგომია მხურვალეთ, რომ ამ სექტემბერში გახსნას ქუთაისში ქალთა სამეურნეო სასწავლებელი, სადაც ქართულ-რუსულ წერა-კითხვასთან და მწერლობა ისტორიასთან ერთად ასწავლიან სარვთო რჯულს, მათემატიკას, ბუნების მეტყველებას, სამეურნეო დარგების თეორიას და მეტადრე პრაქტიკულ მეაბრეშუმობას, ჭრა-კერვას, მზარეულობას, ხელ-საქმეს, მერძეობას და მებოსტნეობას. სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული ქართულ ენას და მწერლობა-ისტორიას. სკოლაში მიიღებიან პრაქტიკანტებიც რომელიმე დარგის შესასწავლათ. სასწავლებლის გეგმის შემუშავება საზოგადო კრებამ დაავალა განსაკუთრებითს კამისიას, რომელიც შესდგება მცოდნე და გამოცდილ პირთაგან. ამ ორ კვირაში კამისია შეადგენს გეგმას, წარუდგენს საზოგადოების საბჭოს, რომელიც მოწონების შემდეგ გაუგზავნის დასამტკიცებლად და სკოლის ნება-რთვის გამოსათხოვათ სამეურნეო სამინისტროს. იქმნება მიღებული ყოველივე სცადი, რათა ეს სასწავლებელი გაიხსნას ქუთაისში ამ სეკტემბერში და მოეწყოს, რაც შეიძლება, კარგად. წესდების თანახმათ კრებამ აარჩია საბჭო შვიდის ქალისაგან და მიანდო მათ საზოგადოების საქმეთა მართვა-გამგეობა. საბჭოს თავმჯდომარეთ აარჩიეს კნ. ჩერქეზიშვილისა, მის მოადგილეთ საზოგადოების ინიციატორი ქ. ნ. ქიქოძისა, ხაზინადრათ ქ. ანნა ლორთქიფანიძისა, მდივნათ ქ. მარიამ ვარდასანიძე, და დანარჩენ წევრებათ კნ. ა. დადეშქელიანისა, კნ. ც. ერისთავისა და ქ. ანეტა კემულარია. მათ კანდიდატებათ არჩეულ იქნენ ქ-ბი ვ. ბერიძე, ლ. სტეფანოვისა და ც. გაბუნიასი. სარევიზიო კამისიაში აირჩიეს: კნ. ვ. ერისთავისა, კნ. მ. ერისთავისა და ქ. პეპელა ჯაიანისა, მათ კანდიდატებათ: ქქ. მათიკაშვილისა და ნ. კემულარიასი.—ყველა ეს ქალები არჩეულ იქნენ ერთხმათ. ვინაიდან საბჭოში შევიდენ ისეთი ფხიზელი და შეგნებული ქალები, როგორიცაა კნ. ჩერქეზიშვილისა, ქქ. ქიქოძისა, ლორთქიფანიძისა, ვარდასანიძე და სხვანი, ჩვენ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შკოლის და საზოგადოების საქმე დადგება სასურველ ნიადაგზედ. ყოველივე საქმის წინსვლა და კეთილ დღეობა დამყარებულია საქმის მეთაურთა თანხმობაზედ, შრომაზედ, მხნეობაზედ და კეთილგონივრობაზედ. ეს თვისებანი კი სავსებით აქვთ საზოგადოების ახალ მეთაურთ და გვწამს, რომ ეს პატივცემული მანდილოსნები ეცდებიან საქმის და მეტადრე სკოლის წესიერათ მოწყობას და დაუმტკიცებენ ქვეყანას, რომ ჩვენს ქალებსაც შეძლებიათ საქმის გაძღოლა და რიგიანათ დაყენება. მაგრამ ამ გვარ საქმის ზრდაკეთილდღეობისათვის არ კმარა მარტო მეთაურთა შრომა, მხნეობა და საქმის სიყვარული, საჭიროა აქ პრესის და საზოგადოების თანაგრძნობა, საჭიროა ფული და ნივთიერ-ზნეობრივი დახმარება. ამიტომ ყველა ჩვენგანი, ჩვენი ბანკები და სხვა დაწესებულებანი ზნეობრივ მოვალენი ვართ ხელი გავუწოდოთ ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს, ამ ქალთა საზოგადოებას, მის სამეურნეო სკოლას და ვეცადოთ გულით და სულით მათ აღორძინებას ქართველ ქალთა აღსაზდელათ და ჩვენი ჩაგრული ერის საკეთილდღეოთ. გაუმარჯოს ქუთაისის ქალთა ახალს სამეურნეო საზოგადოებას! გაუმარჯოს მის მომავალ საოჯახო სკოლას! მხნეობა ნაყოფიერობა მათ მეთაურთ!...

ს. ქვარიანი.

ხაროლ, ჩასთვლის იმას რუსეთის მოკავშირედ და მიმართავს შემწეობისთვის ინგლის-იაპონიის კავშირსა.

**ხარბინი.** ათონიდან მოვიდა წინამძღვარი იოანე მღვთ.ის მეტყვლის მონასტრისა კონსტანტინე თან მოიყვანა ათი ბერი სათნოებისა. ჯარში კიდევ ელიან 120 ბერსა.

**ლონდონი.** («რეიტ. სააგ.»). დანიის გემი «ნორიე» 18 მეზღვაურით და 700 კაცით, რომელნიც გადასახლდნენ დანიიდან, ნორვეგიიდან და ფინლიანდიიდან, დაიღუპა როკხოლის კლდესთან, 200 მილზე გებრიდის კუნძულების დასავლეთა.., 700 კაცამდეა დაღუპული.

**თავრიზი.** ხოლერა ტეგერანიდან გაჩნდა; დღეში 150-დე კვდება. ინგლისის ტეგერნელი კოლონია მიდის ქალაქიდამ აზერბეიჯანის ჩრდილოეთად.—ნათესობა კალიამ წაახდინა. ამბავი შახის მოკვლისა, ორი პრინცის გაქცევისა და ბაბიტების შეპყრობის შესახებ უსაფუძლოარ.

22 ივნისი

**პეტერ ბ.** 21 ივნისს ცარსკოე სელოში უმაღლესის თანადასწრებით იყო პარადი ლეიბ-გვარდიის მისი უდიდებულესობის კირასირის პოლკისა.—დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრეს შტაბში, 20 ივნისითა: «19 ივნისს შევნიშნეთ გაიჯოუს მხრიდან, რომ მტრის მოწინავე რაზმები სამხრეთად წავიდნენ, დაიჭირეს ადგილი სენიუჩენის ჩრდილო-აღმოსავლეთად, 14 ვერსზე. სადგური სენიუჩენი დაიჭირა ქვეითა ჯარის რაზმმა და ამავე სახელის ქალაქის მიდამოებში ერთ დივიზიამდე ჯარია იაპონელთა. როგორც შევიტყეთ, სიუიანის მიდამოებში 50 ათასი ჯარისკაცია შეგროვილიო. დალინის უღელტეხილზე მტერი ისევ ადრინდელ ყოფაშია და ხაიჩენისაკენ წინ წამოწევა არა სჩანს.—«რეიტერის სააგენტო» იუწყება, რუსის და დიდბრიტანიის მთავრობათა შორის მოლაპარაკება იყო ბერინგოს ზღვაში ვეშაპების დაჭერის შესახებ ომიანობის დროსა. რუსის მთავრობის პასუხად ამ საქმის გამო დიდმა ბრიტანიამ შეუთვალა, მივანდობ ინგლისის გემებს დაიცვან რუსეთის წყლებში ვეშაპთა დაჭერის საქმეო. რუსის მთავრობამ მეგობრულად მიიღო ეს წინადადება და ინგლისის გემებს, რომელიც კი იმ წყლებში იქნებიან, შეღავათი მისცა პეტროპავლოვსკიდან ნახშირის წაღებისა.

**ვენა.** გარდაიცვალა გერცლი, სიონისტთა მოძრაობის დამფუძნებელი.

**ლიაოიანი.** (რეიტ. სააგ.) გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი ხაიჩენიდან მოვიდა, რადგანაც წვიმები ხელს უშლიან სამხედრო მოქმედებას მინდვრადა.—ამბავი რუსთაგან კვლავ დალინის უღელტეხილის დაჭერისა არა მართლდება; არც რუსები და არც იაპონელნი იმოდენა ძალით ვერ მივიდნენ, რომ მართლა დაიჭირონ ისა. გაუვალი ტალახია, ურმები და არტილერია ფაცურს ვერ შვრებიან. ორთავე ჯარები უღელტეხილს აქეთ-იქითა დგანან.

**ლონდონი.** («რეიტ. სააგ.»). საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკმა პასუხად განმარტა, რომ ზავი თიბეთელთა თხოვნით მოხდაო. ერთი ღამე სამი მონასტრის წარმ. ...დგენელის თანხლებით ლხასში მიიღ... პოლკოვნიკმა იონგხეზბანდმა. არ იცი...ნ, მინდობილი აქვს თუ არა იმ ღამასა პირობა შეჰკრას ინგლისის ექსპედიციის უფროსთან; მაგრამ იმ შემთხვევაში, უკეთუ თიბეთის ელჩს ამ გვარი მინდობილობა ექმნებოდა, იონგხეზბანდსაც ექნება უფლება იმასთან მოლაპარაკებისა.

22 ივნისი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც ებოძა უმაღლესის კარის შტალმეისტერს გენერალ-ლეიტენანტს საამირაოო უწყებისას თავადს ივანე ობოლენსკის: «თავადო ივანე მიხეილის-ძეო, დიდს მთავრობა ფინლიანდიისა მას უკან, რაც რუსეთის დიდს სახელმწიფოს შემოუერთდა, აქვს განსაკუთრებული წესი მმართველობისა და შინაურ კანონ-მდებლობისა; დარწმუნებული ვარ, რომ ეგ წესი, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრების ვითარებას, შესაძლოა დაცულ იქმნას ფინლიანდიის საკეთილოდ შემდეგშიაც და რომ სულ-მდაბალი ბოროტ-მოქმედება, იმ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრების შემბღალველი,—უგუნურისა და ორიოდე მის თანამზრახველის საქმეა და მათს დანაშაულში ფინების ერი მოზიარე არ არის. ზრუნვა ფინლიანდიისა და დანარჩენ იმპერიის გაერთიანებისა მუდამ პირველი საქმე იყო სახელმწიფოსათვის და შემდეგშიაც ასე უნდა იყოს. ამ საქმის თან და თან შესრულება პირველ მოვალეობად დაუსახე ფინლიანდიის განსვენებულ გენერალ-გუბერნატორს გენერალ-ადიუტანტს ბობრიკოვს. გონივრულის სიმტკიცით ასრულებდა განსვენებული სახელმწიფო მოღვაწე დავალებულს საქმეს, ვიდრე უდროვო სიკვდილმა არ შესწყვიტა მისი თავ-განწირული სამსახური, რომელმაც საპატიო სახელი დაუმკვიდრა ჩრდილო-განაპირა ქვეყანას რუსეთის სახელმწიფო აზრის დამკვიდრების მატიანეში. ვსცან-რა საკეთილოდ მოგიწოდოთ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის დასაჭერად, იმედი მაქვს თქვენის ერთგულობისა და ნიჭისაგან, რომ თქვენდა ჩაბარებულ ქვეყნის მართვა-გამგეობაში გულ-მოდგინე აღმსრულებელი იქმნებით ჩემი წინაპარ მონაფიქრებისა. მოგანდოთ განსაკუთრებულის მზრუნველობით ეცადოთ და შთააგონოთ ფინნებს, განუმტკიცოთ ის აზრი, რომ რუსეთისა და ფინლიანდიის ისტორიული ბედი განუყრელია და რომ მომავალი წარმატება ფინლიანდიისა რუსეთისა და ფინების ერისადმი მინიჭებულ დაწესებულებათა ფრთეთე ქვეშე დამოკიდებულია მშვიდობიანობის დამყარებაზედ იმ ქვეყანაში. ვჰგიებ თქვენდა უცვლელად კეთილ მოსურნედ». ნამდვილზედ მისის იმპერატორებ.თის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: «**ნიკოლოზ**». პეტერგოფი, 17 ივნისს 1904 წელს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში მყოფს გენერალ-ლეიტენანტს თავადს ობოლენსკის უმოწყალესად ებრძანა ფინლიანდიის გენერალ გუბერნატორად ყოფნა

**მუკდენი.** ნალაპარაკევი დაჭრილთა, რომელნიც მუკდენის საავადმყოფოებში არიან, იმ შემაძრწუნებელ ძალადობაზე, რომელსაც იაპონელნი ჩვენს დაჭრილებს უშვრებიან, სავსებით მტკიცდება, როცა გასინჯეს ოთხი გვამი 1 მსროლელ პოლკისა, რომლებიც მოიტანეს 29—30 მაისს მომხდარ ბრძოლიდან სოფლებ ლიუდიაგოუსა და ლიდიატუნ შუა, აღმოსჩნდა, რომ ერთს 26 ჭრილობა ჰქონდა, ხოლო მეორეს 18 ხიშტით სასიკვდილო ჭრილობა სხეულის სხვა და სხვა ადგილში, მესამეს ტყვიით ჭრილობას გარდა, ორი ხიშტით ჭრილობა, როდესაც ჯერ ისევ ცოცხალ-მკვდარი ყოფილა. ამისგამო ოქმი შეადგინეს.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

18 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირ. სტ. . . . | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | 45,95 |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,50 |
| ბერლინში „ . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში „ . . . . . . | 37,57½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 92 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 87 ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 380 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 294 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 258 წვ. გაყ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. სააღკ. მ.მ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | 83½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . | 87¼ ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. სააღ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1-ლ ამ ენკენისთვიდამ ამ წლისა ინიშნება სტიპენდია გრაფ მიხეილ ტარიელის ძის ლორის-მელიქოვის სახელობაზედ საიმპერატორო უნივერსიტეტებში ხელმოკლე სტუდენტებისათვის, რომელთაც დაამთავრეს კარგად კურსი ტფილისის გიმნაზიებში (უეჭველად უნდა იყოს ტფილისის მოქალაქეთაგანი) ხალხოსნობის განურჩევლად.

თხოვნებით უნდა მიჰმართონ გამგეობის მე-2 განყოფილებას. თხოვნებთან ერთად უნდა წარადგინონ პირი დაბადების მოწმობიდან და აგრეთვე მოწმობა უნივერსიტეტის გამგეობისა, რომელშიაც უნდა აღნიშნული იყოს იმყოფება თუ არა მთხოვნელი უნივერსიტეტში. (3—6—2)

ქ უ თ ა ი ს შ ი
**ს. ბ. თოფურიას**
# სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



ა მ ე რ ი კ ი ს
# ავტომობილები
ბენზინით მოძრავი
# ველოსიპედები
ბენზინის მატორებით.
**Акц. О-во „ЭНФИЛЬД“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.**
СПБ. Морская, № 30.
(10—6—10).



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**
„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.




Feriencolonien. Colonie des vacances

„პ ა ტ ა რ ა - ც ე მ ი“-ს
# საზაფხულო სამყოფი
ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა
# მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ხედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე**:
15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვადა და მშვიდებული იყვეთ **იყიდევით**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხვება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაუებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

**გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.**
(5—6—)

გამოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

# ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სასცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.



# სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა. ვინც გამოიწერს ჩვენგან
მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუდდავანობით; 2) მევის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალა. ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 როზისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება. ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად. ჰეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფილიპიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3-6-2)




Тип Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарiй